მუზეუმების როლი რეგიონული ტურიზმის განვითარებაში: თელავის ისტორიული მუზეუმი - ტრადიციასა და ინოვაციას შორის

ცქიტიშვილი ნელი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.23

აბსტრაქტი: *საზოგადოების თანამედროვე ხედვამ და მოთხოვნილებებმა, ტექნოლოგიების განვითარებამ, სრულიად შეცვალა მუზეუმის როლი და მნიშვნელობა - იგი აღარ არის მხოლოდ საგამოფენო სივრცე, სადაც ადამიანი გამოფენილ ნიმუშებს ან არტეფაქტებს ათვალიერებს, არამედ, ის გადაიქცა კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ცენტრად. ამდენად, თანამედროვე მუზეუმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა შეიცვალოს ვიზიტორებთან ურთიერთობის ფორმებიც და სტრატეგიებიც - მათი ქცევის შესწავლა, ინტერესებისა და კმაყოფილების კვლევა მნიშვნელოვან კომპონენტებად მოიაზრება მუზეუმის ფუნქციონირების ეფექტურობისა და მდგრადი განვითარების კონტექსტში. კვლევის შედეგების გათვალისწინება ეხმარება მუზეუმს პროგრამების გამრავალფეროვნებაში, ახალი სერვისების შეთავაზებაში, სარეკლამო კამპანიების სწორად დაგეგმვა-წარმოებაში, რაც, საბოლოოდ, ზრდის მუზეუმის მიმართ ინტერესს.*

წარმოდგენილი ნაშრომი ***მიზნად*** *ისახავს თელავის ისტორიული მუზეუმის კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი საქმიანობის ანალიზს. გამოყენებულია როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები:* ***1. დოკუმენტური ანალიზი*** *- გავეცანით მუზეუმის შიდა დოკუმენტაციას, ანგარიშებს, პროექტების აღწერას, რითაც შევაფასეთ მუზეუმის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის შინაარსობრივი და სტრუქტურული მახასიათებლები.* ***2. ინტერვიუების და დაკვირვების მეთოდი:*** *ჩატარდა ინტერვიუები თელავის ისტორიული მუზეუმის ადმინისტრაციის, საგანმანათლებლო და ვიზიტორთა განყოფილების წარმომადგენლებთან, ექსკურსიამძღოლებთან. გამოიკითხა მუზეუმის რეგულარული ვიზიტორები - თელავის საჯარო სკოლების, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.* ***3. პროგრამული მასალის ანალიზი:*** *მუზეუმის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროექტების, მასტერკლასების და თემატური ღონისძიებების შინაარსობრივი ანალიზის შედეგად განხილულ იქნა მათი სტრუქტურა, მიზნობრივი ჯგუფები, სასწავლო მიზნები და ინტერაქტიული კომპონენტები. პროგრამული მასალის ანალიზის მიზანს წარმოადგენდა მათი ეფექტიანობის, ასაკობრივი და თემატური მიზანშეწონილობის შეფასება.*

თელავის ისტორიული მუზეუმის საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობების შესწავლის შედეგად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი ***მიგნებები და დასკვნები:*** *მუზეუმი აღარ არის მხოლოდ ექსპონატების საცავი, არამედ, იგი აქტიური საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და კულტურული პლატფორმაა; მუზეუმების თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ვიზიტორი აღიქვან არა მხოლოდ ექსპონატების დამთვალიერებელი, არამედ სამუზეუმო აქტივობების თანამონაწილე; თელავის მუზეუმის*

მიერ ბოლო პერიოდში შემუშავებული პროგრამები ხელს უწყობს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ჩართულობას, ახალგაზრდებში აყალიბებს კრიტიკულ აზროვნებას და აცოცხლებს ისტორიულ მეხსიერებას, ხელს უწყობს შემეცნებას, კულტურული და ეროვნული იდენტობის განცდას; პროგრამები მოიცავს ექსკურსიებს, კონფერენციებს, თემატურ გაკვეთილებს.

თელავის ისტორიული მუზეუმი იყო და რჩება როგორც კულტურული ტურიზმის მნიშვნელოვანი დესტინაცია და კახეთის რეგიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის პოზიციონირებაში მუზეუმების ხელშეწყობა და განვითარება უნდა იყოს სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტი.

საკვანძო სიტყვები: *თელავი, მუზეუმი, ტურიზმი, ვიზიტორები, პროგრამები.*

მუზეუმებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ტურიზმში. მათი როლი მნიშვნელოვანია როგორც ქვეყანაში საერთაშორისო ტურისტების მოზიდვაში, ისე შიდა ტურიზმის განვითარებაში. არიან რა კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის მატარებელ-შემნახავნი, ისინი, ამავდროულად, ტურისტულ ატრაქციებსაც წარმოადგენენ. მუზეუმები და კულტურული ტურიზმი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული - როგორც მუზეუმების გარეშე წარმოუდგენელია კულტურული ტურიზმი, ასევე სოლიდურია ტურისტების ვიზიტით მიღებული შემოსავლები მუზეუმებისთვის. ამიტომაა, რომ მუზეუმები ტურისტული მარშრუტების მნიშვნელოვან დესტინაციას წარმოადგენენ.

კახეთში არსებული სახელმწიფო თუ კერძო, ისტორიული თუ მემორიალური მუზეუმები - თელავის ისტორიული მუზეუმი, ერეკლე მეორის სასახლე, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, სიღნაღის, გრემის, ილია ჭავჭავაძის და კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმები ყვარელში, ფიროსმანის, ნატო ვაჩნაძის, გოგლა ლეონიძის და სხვა მემორიალური მუზეუმები - საერთაშორისო თუ შიდა ვიზიტორების ინტერესის საგანს წარმოადგენენ. ისინი მოგზაურებს აცნობენ კონკრეტული რეგიონის ისტორიას, კულტურას, ეთნოგრაფიას, ცნობილი ადამიანების მემორიალურ მემკვიდრეობას. ამავდროულად, მუზეუმები ქმნიან სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობენ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. ტურისტები ხარჯავენ ფულს არა მხოლოდ მუზეუმის ბილეთებზე, არამედ სასტუმროზე, კვებაზე, ტრანსპორტზე, სუვენირებზე და სხვა მომსახურებაზე. ყოველივე ეს კი დადებით გავლენას ახდენს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტზე, ისე ადგილობრივ მოსახლეობაზე - ტურისტების სიმრავლე ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

კულტურულ ტურიზმში მუზეუმების როლი, მისი დადებითი მხარე ისიც არის, რომ სეზონურობა მათზე დიდ გავლენას ვერ ახდენს იმის გამო, რომ ისინი დახურულ სივრცეში ფუნქციონირებენ და კლიმატური პირობები არ იწვევს ვიზიტორთა ნაკადების მნიშვნელოვან შემცირებას. თუმცა, აქაც არსებობს მაღალი და შედარებით დაბალი აქტივობის სეზონები.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს თელავის ისტორიული მუზეუმის კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი საქმიანობის კომპლექსურ ანალიზს. გამოყენებულია როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის

მეთოდები, რაც განაპირობებს თემის სიღრმისეულ შესწავლას: 1. დოკუმენტური ანალიზი - გავეცანით მუზეუმის შიდა დოკუმენტაციას, ანგარიშებს, პროექტების აღწერას, რომლის შედეგადაც შევაფასეთ მუზეუმის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის შინაარსობრივი და სტრუქტურული მახასიათებლები. 2. ინტერვიუების და დაკვირვების მეთოდი: ჩატარდა ინტერვიუები თელავის ისტორიული მუზეუმის ადმინისტრაციას, საგანმანათლებლო და ვიზიტორთა განყოფილების თანამშრომლებთან. ექსკურსიამძღოლებთან. დამატებით გამოიკითხა მუზეუმის რეგულარული ვიზიტორები (თელავის საჯარო სკოლების, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები). 3. პროგრამული მასალის ანალიზი: მუზეუმის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროექტების, მასტერკლასების და თემატური ღონისძიებების შინაარსობრივი ანალიზის შედეგად განხილულ იქნა მათი სტრუქტურა, მიზნობრივი ჯგუფები, სასწავლო მიზნები და ინტერაქტიული კომპონენტები. პროგრამული მასალის ანალიზის მიზანს წარმოადგენდა მათი ეფექტიანობის, ასაკობრივი და თემატური მიზანშეწონილობის შეფასება.

საზოგადოების თანამედროვე ხედვამ და მოთხოვნილებებმა, ტექნოლოგიების განვითარებამ, სრულიად შეცვალა მუზეუმის როლი და მნიშვნელობა - იგი აღარ არის მხოლოდ საგამოფენო სივრცე, სადაც ადამიანი გამოფენილ ნიმუშებს ან არტეფაქტებს ათვალიერებს, არამედ, ის გადაიქცა კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ცენტრად. ამდენად, შეიცვალა ვიზიტორებთან ურთიერთობის ფორმებიც და სტრატეგიებიც - მათი ქცევის შესწავლა, ინტერესებისა და კმაყოფილების კვლევა მნიშვნელოვან კომპონენტებად იქცა მუზეუმის ფუნქციონირების ეფექტურობისა და მდგრადი განვითარების კონტექსტში. კვლევის შედეგების გათვალისწინება ეხმარება მუზეუმს პროგრამების გამრავალფეროვნებაში, ახალი სერვისების შეთავაზებაში, სარეკლამო კამპანიების სწორად დაგეგმვა-წარმოებაში, რაც, საბოლოოდ, ზრდის მუზეუმის მიმართ ინტერესესს.

აქვე აღვნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ მუზეუმები განიცდიან კვალიფიციური კადრების უკმარისობას როგორც სამუზეუმო საქმის მენეჯერების, სპეციალისტების, ისე გიდების სახით. „სამუზეუმო სამუშაოების ინოვაციური ფორმებისა და მეთოდების დასაუფლებლად ვითარდება პროფესიული მომზადების ისეთი ფორმები, როგორებიცაა მასტერ-კლასები, საქმიანი თამაშები, დისკუსიური კლუბები, შემოქმედებითი ლაბორატორიები, რომელიც გამიზნულია ახალი ტექნოლოგიების, პერსპექტიული პროექტების გამოვლინებასა და არჩევაზე... დღეს საქართველოს სამუზეუმო სისტემაში მუშაობენ სპეციალისტები, რომლებსაც სპეციალური განათლება არ გააჩნიათ. მათი სამუშაო პრაქტიკა ემყარება წლების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას“... (მესხია, 2014).

თელავის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, გარდა ერეკლე მეორის სასახლის, ეთნოგრაფიულ სივრცესა თუ სამხატვრო გალერეაში გამოფენილი მუდმივი ექსპოზიციის დათვალიერების შესაძლებლობისა, ხშირად აწყობს სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, სემინარებს და კონფერენციებს, ახალ-ახალ დროებით ექსპოზიციებს, თემატურ ექსკურსიებს, სამეცნიერო გამოცემების თუ მხატვრული ლიტერატურის პრეზენტაციებს, რაც აძლიერებს ვიზიტორებთან კომუნიკაციას, უფრო საინტერესოს და დასამახსოვრებელს ხდის მუზეუმში ყოფნას.

აღსანიშნავია ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიცია - ბატონის ციხე-გალავნის სივრცეში ტარდება ეროვნული დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, კონცერტები; ეწყობა „სამეცნიერო პიკნიკი“, ხელოვანთა და მეწარმეთა ნამუშევრების გამოფენები, ქართული სამზარეულოს და ღვინის მწარმოებელთა მრავალფეროვანი ნიმუშების დეგუსტაციები... ასეთმა აქტივობებმა სამუზეუმო სივრცე აქცია საზოგადოებრივი თავშეყრისა და კულტურული ცხოვრების ადგილად.

რეგულარული მომხმარებლების გამოკითხვამ აჩვენა, რომ მუზეუმი პოპულარულია ისტორიისა და ხელოვნების მოყვარულებში - დამთვალიერებლების უმრავლესობას აინტერესებს მეფე ერეკლე II-ს სასახლე და მეფესთან დაკავშირებული ისტორიები (40 %); ქეთევან იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეაში გამოფენილი მხატვრული ტილოები (25 %), ეთნოგრაფიული ნივთები (20 %), მიმდინარე ექსპოზიციები (15 %). თემატური ექსკურსიებით და სხვა საგანმანათლებლო აქტივობებით უფრო მეტად ინტერესდებიან სკოლის მოსწავლეები და ახალგაზრდები, თუმცა გამოკითხულთა 25 %-აღნიშნავს, რომ კარგი იქნებოდა ისტორიული ვორქშოპები, პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, რაც უფრო საინტერესოს გახდიდა საგანმანათლებლო პროგრამებს. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ საგრძნობია თელავის ისტორიულ მუზეუმში თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა, რომ საჭიროა ინტერაქტიული, გასართობ-შემეცნებითი ელემენტების დამატება. რაც შეეხება მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებს, მათ სურთ უფრო მეტი საბავშვო პროექტი, აღნიშნავენ იმასაც, რომ კარგი იქნებოდა, მუზეუმს ჰქონდეს სპეციალური სივრცე, კუთხე ბავშვებისთვის. ისინი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მათ პატარებს მოეწონათ მუზეუმის ეზოში გამართული თიხის ნაკეთობების მასტერკლასი.

ფინანსური რესურსების მოზიდვის საუკეთესო საშუალებაა მიზნობრივ ჯგუფებთან მუდმივი კომუნიკაცია, რაშიც უნდა გამოვიყენოთ მარკეტინგული მიდგომები და ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებები, თუმცა, ამ ორივე ასპექტით რეგიონული მუზეუმები არასახარბიელოდ გამოიყურებიან.

„ვინაიდან მუზეუმები საზოგადოების საკეთილდღეოდ არსებობენ და მათი მიზნებიც საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს, მათი მარკეტინგიც ამ მიზნებს უნდა ასახავდეს. მარკეტინგი აუცილებელია მუზეუმისთვის, რათა მას შეეძლოს შეასრულოს თავისი დანიშნულება თავის საზოგადოებასთან მიმართებაში... ჩვენთან სამუზეუმო ვებ-გვერდების მომზადების, დიზაინისა და შინაარსის მიწოდების ტექნოლოგია სრულიად განსხვავებულია და არ შეესაბამება საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტქნოლოგიებს. … ჩვენი მუზეუმების ვებ-გვერდები შეუდარებლად ღარიბია, როგორც თვალსაჩინოების, ისე ინფორმაციული თვალსაზრისით“. (კვარაცხელია, 2015)

თელავის ისტორიული მუზეუმის საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობების შესწავლის შედეგად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი **მიგნებები და დასკვნები:**

მუზეუმი აღარ არის მხოლოდ ექსპონატების საცავი, არამედ, იგი აქტიური საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და კულტურული პლატფორმაა;

მუზეუმების თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ვიზიტორი აღიქვან არა როგორც მხოლოდ ექსპონატების დამთვალიერებელი, არამედ სამუზეუმო

აქტივობების თანამონაწილე;

მუზეუმები განიცდიან კვალიფიციური კადრების უკმარისობას როგორც სამუზეუმო საქმის მენეჯერების, სპეციალისტების, ისე გიდების სახით.

თელავის მუზეუმის მიერ ბოლო პერიოდში შემუშავებული პროგრამები ხელს უწყობს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ჩართულობას, ახალგაზრდებში აყალიბებს კრიტიკულ აზროვნებას და აცოცხლებს ისტორიულ მეხსიერებას, ავითარებს შემეცნებას, კულტურული და ეროვნული იდენტობის განცდას;

საგანმანათლებლო აქტივობები მოიცავს ექსკურსიებს, კონფერენციებს, წიგნების პრეზენტაციებს, თემატურ გაკვეთილებს;

რადგან მოთხოვნა არსებობს, მუზეუმის თანამშრომლებმა უნდა იფიქრონ როგორ გამოიყენონ გართობა საგანმანათლებლო მეთოდად: მისცენ ახალგაზრდებს შესაძლებლობა, რომ სახალისო აქტივობებით, მუზეუმში დაცული ექსპონატების ირგვლივ გამართული შემეცნებითი ვიქტორინებით გაიმდიდრონ ცოდნა. თელავის ისტორიულ მუზეუმში ბოლო დროს შემუშავებული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამა, ვფიქრობთ, სწორედ ამ აქტივობებით შეივსება და უფრო მეტ პოპულარობასაც შეიძენს;

მუზეუმის ვებგვერდის ფუნქციონირება და სოციალურ ქსელში არსებული გვერდის სრულყოფა ხელს შეუწყობს მუზეუმის პოტენციურ დამთვალიერებელთა ინფორმირებულობას, გააადვილებს მომხმარებელთან კომუნიკაციას;

სასურველი იქნება, რომ ჩვენი რეგიონის მუზეუმებშიც დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები და ინიციატივები. ასეთი შეიძლება იყოს მუზეუმების მიერ მოწყობილი ინტერნეტგამოფენები და ვირტუალური ტურები, რაც მუზეუმებში წარმოდგენილ კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობას ფართო აუდიტორიისათვის უფრო მეტად ხელმისაწვდომს გახდის;

თელავის ისტორიული მუზეუმი იყო და რჩება როგორც კულტურული ტურიზმის მნიშვნელოვანი დესტინაცია და კახეთის რეგიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის პოზიციონირებაში მუზეუმების ხელშეწყობა და განვითარება უნდა იყოს სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტი.

ლიტერატურა:

1. მესხია, ე. (2014). მუზეოლოგია. ბათუმი;
2. კვარაცხელია, ნ. (2015), საექსკურსიო საქმე. თბილისი.

The role of museums in the development of regional tourism: Telavi Historical Museum – between tradition and innovation

Tskitishvili Nelly
Iakob GogebashviliTelavi State University

Abstract

The modern vision and needs of society, as well as the development of technologies, have completely changed the role and importance of museums - it is no longer just an exhibition space where people just examine works of arts or artifacts, but it turned into a cultural,

educational and social center. Thus, the essence of modern museums is that they must change both the forms and strategies of interaction with visitors – studying their behavior, interests, and satisfaction are considered as important components in the context of museum functioning efficiency and sustainable development. The results of the research help the museum diversify its programs, offer new services, and properly plan and conduct advertising campaigns, which ultimately increases interest in the museum.

The presented work aims to analyze the cultural, educational and public activities of Telavi Historical Museum. Both qualitative and quantitative research methods have been used: 1. Documentary analysis - we reviewed the museum's internal documentation, reports, and project descriptions, thereby assessing the content and structural characteristics of the museum's cultural and educational policy. 2. Interview and observation method: Interviews were conducted with representatives of the administration, educational and visitor departments of Telavi Historical Museum, and tour guides. Regular visitors of the museum were interviewed – as well as, representatives of Telavi public schools and Telavi State University. 3. Analysis of program material: As a result of the content analysis of educational projects, master

classes, and thematic events developed by the museum, their structure, target groups, learning objectives, and interactive components were discussed. The purpose of analyzing the program materials was to assess their effectiveness, as well as age and thematic appropriateness.

As a result of studying the public and cultural-educational activities of Telavi Historical Museum, we have formulated the following findings and conclusions: the museum is no longer just a repository of exhibits, but rather an active public, educational, and cultural platform. Museum staff are aware that visitors should be perceived not only as spectators of exhibits, but also as participants of museum activities. The programs that have been recently developed by Telavi Museum promote the engagement of different age groups, develop critical thinking among young people, and revive historical memory, promoting cognition and a sense of cultural and national identity; Programs include excursions, conferences, and thematic lessons.

Telavi Historical Museum has always been and still remains an important Georgian tourism destination and a cultural and educational center of Kakheti region. Promoting and developing museums should be an important element of the strategy to position Georgia as a tourist-attractive country.

Key words: Telavi, museum, tourism, visitors, programs.